H4H | ადამიანები – ადამიანებისთვის

HR პროფესიონალებისა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კამპანია

HRPA

HR პროფესიონალთა ასოციაცია

კამპანიის დასახელება

H4H - Humans for Humans | ადამიანები - ადამიანებისთვის!

სლოგანი

Help me to Help you | დამეხმარე რომ დაგეხმარო

კამპანიას ორგანიზებას უწევს HR პროფესიონალთა ასოციაცია - HRPA • Georgia

განვითარებული მოვლენების ფონზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, COVID 19 ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ყოველდღიურად იბრძვის. პანდემიის ფონზე განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა კომპანიები მათი ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით.

რიგ კომპანიებს ჯერ კიდევ აქვთ რესურსი, რომ თანამშრომლებს შეუნარჩუნონ დასაქმების პირობები უცვლელად, თუმცა არიან კომპანიები, რომელთა ბიზნეს მოდელი არ აძლევთ ამის საშუალებას. შესაბამისად, გარკვეულ ბიზნეს კომპანიებსა და დამსაქმებლებს მიმდინარე ფინანსური თუ სხვა სახის კრიზისის ფონზე უწევთ შრომითი ურთიერთობების დროებით შეჩერება ან შეწყვეტა. ყველას გვესმის, რომ ეს არის და იქნება შეუქცევადი პროცესი.

HR პროფესიონალების, ისევე როგორც სხვა დარგის ექპერტებისა და პროფესიონალების, პროაქტიული მოქმედება ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა თითოეული კომპანიის გარშემო გავერთიანდეთ, საბოლოოდ კი დავეხმაროთ თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ამჟამად ამას ყველაზე მეტად საჭიროებს!

კამპანია H4H - Humans for Humans აერთიანებს HR და ორგანიზაციული განვითარების პროფესიონალებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, რეკრუტინგულ, საკონსულტაციო და ედვაიზერულ ორგანიზაციებს გამოცდილების გაზიარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით ყველა შესაძლო რესურსის ერთად მობილიზებისა და სწრაფი, მოქნილი სისტემის შექმნის მიზნით.

კამპანიის არსი, მიზანი მიზანი და მიმართულებები

კომპანიების წინაშე მდგარ გამოწვევებთან გასამკლავებლად და ბიზნეს უწყვეტობის მიმართულებით პროცესების ეფექტიანად სამართავად უმნიშვნელოვანესია სწორი, თანმიმდევრული და ღირსეული გადაწყვეტილების მიღება. ბიზნეს უწყვეტობა და ზრუნვა ორგანიზაციის თანამშრომლებზე - ორი ყველაზე კრიტიკული ასპექტია. ასეთ დროს კიდევ უფრო კრიტიკული ხდება კომპანიის პრესტიჟი და რეპუტაცია, დამსაქმებლის ბრენდი, რომელიც ადამიანზე ზრუნვაში ვლინდება. კომპანიაში დასაქმებულ ადამიანებს, რომელებსაც ამ კომპანიის წარმატებაში მცირედი წვლილი მაინც მიუძღვის, იმსახურებენ, რომ მსგავს კრიზისულ პერიოდში მათი კომპანია მაქსიმალურად დაუდგეს გვერდში.

კამპანიის მიზნები

- ✓ ***ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება*** (KNOWLEDGE SHARING) - გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, ისევე როგორც სხვადასხვა ტიპის სერვისების მიწოდება პანდემიის მიზეზით შექმნილ გამოწვევებთან მაქსიმალურად ეფექტიანად გასამკლავებლად.
- ✓ ***ადამიანების ტრანსფერი/ დასაქმების ხელშეწყობა*** (PEOPLE TRANSFER) - კომპანიების დახმარება იმ ადამიანების დასაქმების ხელშეწყობაში (ორი დაინტერესებული მხარის დაკავშირებითა და მონაცემების გაზიარებით), რომლებთანაც შეჩერდა ან შეწყდა თანამშრომლობა.

სტრატეგია

- შეიქმნება საერთო გაზიარებული ბაზები, რომლებიც მართული იქნება ასოციაციის კომპეტენტური გუნდის მიერ;
- მოვიძიებთ კომპანიებს რომლებიც საჭიროებენ შესაბამის ადამიანურ კაპიტალს;
- მოვიძიებთ დასაქმების (მათ შორის დროებითი) შესაძლებლობებს და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას იმ თანამშრომლებზე, რომლებთანაც დროებით/მუდმივად მოხდა თანამშრომლობის შეჩერება ან შეწყვეტა;
- ვითანამშრომლებთ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დასაქმების საკითხებზე (მთავრობა, ბიზნეს გაერთიანებები, დონორები და ა.შ.);
- ერთად გავუწევთ დახმარებას იმ კომპანიებს, რომლებიც დგანან სხვადასხვა გამოწვევების წინაშე, რათა პროცესი იმართოს ღირსეულად და მაქსიმალურად უმტკივნეულოდ;
- საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დავეხმარებით კომპანიებს ადამიანების გადამზადების მიმართულებით, რომელიც მათ უმოკლეს ვადებში დასაქმებას შეუწყობს ხელს;
- ერთად ვანუგეშებთ ადამიანებს (სპეც. პროგრამები, სტრესის მართვის სხვადასხვა საშუალებებით).

შესაძლებლობები

- HR პროფესიონალებს, რომლებსაც უწევთ თანამშრომელთა გათავისუფლება, ექნებათ წვდომა საჭირო კონსულტაციებზე, ტრენინგებსა და გამოცდილების გაზიარებაზე.
- კომპანიები, რომლებსაც უწევთ თანამშრომელთა გათავისუფლება, მიიღებენ წვდომას გაზიარებულ ბაზაზე, რის შედეგადაც მათ შეეძლებათ ღირსეულად, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გაათავისუფლონ თანამშრომლები დაკავებული პოზიციებიდან ისე, რომ მათ სამომავლო დასაქმებაზეც იზრუნონ.
- კომპანიები, რომლებიც ახალი თანამშრომლების ძიებაში არიან, მიიღებენ წვდომას გაზიარებულ ბაზაზე, რის შედეგადაც მათ შეეძლებათ მიიღონ ახალი თანამშრომლები.
- ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, ექნებათ წვდომა ახალ შესაძლებლობებსა და "კეთილდღეობის პროგრამაზე".

საკონტაქტო ინფორმაცია:

კამპანიის Facebook გვერდი: **https://bit.ly/2QxKblg**

კამპანიის ვებგვერდი: www.h4h.ge

ელ-ფოსტა: **info@hrpa.org.ge**

ტელ: **+995 577 60 50 88**